



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49232092

თარიღი:28/07/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 97**

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ანგარიში

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2023 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა.(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ შეიქმნა 2007 წლის 25 მაისს 10 საშტატო ერთეულით. 2014 წელს დაემატა 1 საშტატო ერთეული დამლაგებელი. 2016 წელს დაემატა 1 საშტატო ერთეული ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი. 2020 წელს დაემატა 1 ენტომოლოგის საშტატო ერთეული, 2022 წელს გადაკეთდა სტატისტიკოსის შტატი იურისტის შტატად ასევე 2023 წელს დაემატა ექიმ ლაბორანტი და ლაბორანტი ანუ სულ 15 საშტატო ერთეულია.

2023 წელს I-II კვარტალში ეპიდზედამხედველობით გამოვლინდა მართვადი ინფექციები მათ შორის:

ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი „C“-31 შემთხვევა

ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი „B“-7 შემთხვევა

სავარაუდო ინფექციების წარმოშობის დიარიის -66 შემთხვევა

ბრუცელოზი -10 შემთხვევა

სავარაუდო საკლვების მიერ მომხამვა-243 შემთხვევა

ჩუტყვავილა -18 შემთხვევა

ლაიმის დაავადება ბორელიოზი-8 შემთხვევა

ტუბერკულოზი -15 შემთხვევა.

ქუნთრუმა 19- შემთხვევა

ჯილეხი 1-შემთხვევა

ლეიშმანიოზი 2-შემთხვევა.

ლეპტოსპიროზი 15 შემთხვევა.

იმუნიზაციის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში 2023 წლის I-II კვარტალში წყალტუბოსა და მისი ზონის საექიმო ამბულატორიების ფიზიკური პირების (ოჯახის ექიმები მიერ )ჩატარებულია შემდეგი სახის აცრები :

დიფტერია, ყვიანახველა, ტეტანუსის საწინააღმდეგო- 284 აცრა

წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო-245 აცრა

ტეტანუსი-დიფტერიის საწინააღმდეგო 242 აცრა

როტარიქსის საწინააღმდეგო 155 აცრა

პნევმოკოკური ვაქცინით 288 აცრა

პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა 153

ჰექსაქსიმის ვაქცინა- 284 აცრა

ანტირაბიული 391 აცრა.

პერმანენტულად ვმარაგდებით ლ.საყვარელიძის სახელობის დავადებათა კონტქროლის და საზ.ჯანდაცვის ცენტრიდან ვაქცინებითა და დედათა და ბავშვთა ტესტებით ასევე ანტიგენის ტესტებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აქტიურად არის ჩაბმული covid-19 პანდემიის მართვის საკითხში. პერმანენტულად ხდება ბენეფიციართა კოვიდ ტესტირება ჩვენს მიერ, სწრაფი ტესტით (ანტიგენის).

2023 წლის I-II კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრში Covid-19 ტესტირება მოხდა 1150 ბენეფიციარში. აქედან დადებითი 15. დასატესტი კონტიგენტის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა იტესტება მხოლოდ მოხუცთა თავშესაფარის პერსონალი და თვითდინებით შემოსული პაციენტები.

2023 წელს I-II კვარტალში სულ ჩატარდა 5 კორონა ვირუსის საწინააღმდეგო აცრა

2023 წელს I-II კვარტალში COVID-19-ით სულ ინფიცირებული 241, გარდაცვალებას ადგილი არ ქონია

პარაზიტოლოგიურ სამსახურს ახორციელებს ექიმი პარაზიტოლოგი და ლაბორანტი 2023 წელს I-II კვარტალში პარაზიტოლოგიურ სამსახურში პარაზიტებზე (ჭიის კვერცხების მტარებლობაზე) გამოკვლეული იქნა -408 მათ შორის ენტერობიოზი აღმოჩნდა 92 პაციენტს, უარყოფითი-316.

2023 წლის I-II კვარტალის ექიმ- პროფილაქტიკოსის ანგარიში. შემოწმებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სილამაზის სალონების სან ჰიგიენური მდგომარეობა, ასევე შემოწმებული იქნა სკოლების და საბავშვო ბაღების სან ჰიგიენური ნორმები. მსოფლიოს საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები შემდეგ თემაზე კიბოს მსოფლიო დღე, ტუბერკულოზის მსოფლიო დღე, ჰიპერტენზიის მსოფლიო დღე, მსოფლიო თამბაქოს გარეშე, ამ დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები აღნიშნულ თემებზე და დარიგდა ბუკლეტები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

ბიუჯეტი ცალკეული მუხლების მიხედვით გეგმის შესრულება არის შემდეგი:

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2023 წლის I-II კვარტალში საფინანსო მონაცემები შეადგენს.

№	პარაგრაფის დასახელება	გეგმა	ფაქტიური
1	თანამდებობრივი სარგო	66300	66279,5
2	საკანცელარიო	1000	1000
3	მივლინება	500	350
4	რეცხვა ქიმწმენდა	700	500
5	ჯეოსელი	540	388
6	ელ.ენერგია	1800	1680
7	წყალი	350	275
8	სამედიცინო ხარჯი	1500	420
9	საწვავი	3400	3346
10	ავტომანქანის მოვლა შენახვა	1000	665
11	დაცვა	480	400
12	საჭირო მასალები	2400	2000
13	ფინანსური ასოციაცია	4000	4000
14	ინტერნეტი	507	507
15	კატრიჯი	300	300
16	ავტომანქანის მიმდინარე რემონტი	1500	1142
17	ეკომედი ნარჩენების გატანა	240	240
18	გაზი გამათბობელი	1920	1920
19	სახანძრო	147	147
20	კომპიუტერები	9880	9880
21	მცირე კომპიუტერული ტექნიკა	300	155
16	სულ:	98764	95595